

განმარტებითი ბარათი

„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტზე

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში შემოვიდა შპს „მამედის“ წერილი (კომისიაში რეგისტრაცია №1497/01 18.02.2020) ბუნებრივი გაზის მიწოდების, განაწილების, გატარებისა და მოხმარების ტარიფების დადგენის მოთხოვნით.

იმის გათვალისწინებით, რომ „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოსაცემად საჭიროა დაწესებული იქნას საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, 2020 წლის 11 მარტის საჯარო სხდომაზე კომისიამ განიხილა საკითხი 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოსაცემად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწესების შესახებ.

კომისიის 2020 წლის 11 მარტის №25/13 გადაწყვეტილების თანახმად, დადგენილების პროექტის შესახებ მოსაზრებების წარმოდგენის ბოლო ვადად განსაზღვრულია 2020 წლის 8 აპრილი, ხოლო დადგენილების გამოცემის ბოლო ვადად – 2020 წლის 14 აგვისტო.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

დადგენილების მიღება არ გამოიწვევს კომისიის ბიუჯეტის ხარჯვითი და საშემოსავლო ნაწილის ცვლილებებს.

დადგენილების პროექტის განხორციელების ვადები

დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 1 ივლისიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 2023 წლის 1 იანვრამდე.

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენი

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.